ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 02 ნოემბრის სხდომის

დღის წესრიგი

[redacted]

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხს: ნანა კიკნაძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2015** წლის **06** აპრილის **N16** დადგენილებაში „ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ზურაბ ბანცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 02 ნოემბრის მორიგი სხდომის

ოქმი # 19

დაბა ხარაგაული **02 ნოემბერი 2020 წელი**

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე- მანანა ბარბაქაძე.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: პაატა გოგოლაძე, დავით კიკნაძე, გივი თხელიძე, მალხაზ ფხალაძე, აკაკი ლურსმანაშვილი, ვარლამ ჭიპაშვილი, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ეკატერინე შველიძე, რუსუდან გიორგაძე, ლენა აბაშიძე, ნონა ზურაბიანი, დოდო ხაჩიძე, შალვა ლურსმანაშვილი, ირაკლი ფერაძე, ვახტანგ ტალახაძე, იულონ კოპაძე, ჯამბულ გამცემლიძე, იუზა კელენჯერიძე, გივი ხიჯაკაძე, ზურაბ ხაჩიძე.

სულ 22 წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები:

ნანა კიკნაძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი,

ზურაბ ბანცაძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ზაალ ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი,

ნინო თხელიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

თამარ მაღრაძე - ა.(ა)ი.პ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ თანამშრომელი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 22 წევრი.

მომხრე 22,

წინააღმდეგი 0.

დღის წესრიგი მიღებულ იქნა (თან ერთვის).

დღის წესრიგი:

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

მომხს: ნანა კიკნაძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 06 აპრილის N 16 დადგენილებაში „ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს: ზურაბ ბანცაძე

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის ნანა კიკნაძის ანგარიში საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ. (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

გივი თხელიძემ, რომელმაც დადებითად შეაფასა სამსახურის მუშაობა და განაცხადა, რომ აღნიშნული სამსახური ყოველთვის მუშაობს გამართულად და მაღალ დონეზე ასრულებს მასზედ დაკისრებულ მოვალეობებს.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო აღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი და კენჭისყრაზე დააყენა სამსახურის საქმიანობის დადებითად შეფასების საკითხი.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 22 წევრი.

მომხრე- 22

წინააღმდეგი- 0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ზურაბ ბანცაძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 06 აპრილის N 16 დადგენილებაში „ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო აღნიშნულ საკითხზე დადგენილების პროექტი და კენჭისყრაზე დააყენა დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 22 წევრი.

მომხრე-22

წინააღმდეგი-0

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებულ იქნეს (თან ერთვის)

კენჭისყრის შედეგებზე დაკვირვებას ახდენდა საკრებულოს აპარატი.

ამით საკრებულოს დღის წესრიგით განსახილველი საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**